ინფორმაცია ტესტის მაქსიმალური ქულის, მინიმალური გამსვლელი ქულებისა და საგამოცდო დროის ხანგრძლივობის შესახებ

სახელმწიფო ენის საგამოცდო ტესტების მაქსიმალური ქულაა 100. იმისათვის, რომ A1 და B1 დონეების გამოცდა პირს წარმატებით დაძლეულად ჩაეთვალოს, მან უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის **40%-ზე მეტი (41 ქულა და მეტი),** ხოლო A2 და B2 დონეების შემთხვევაში, მაქსიმალური ქულის **60%-ზე მეტი (61 ქულა და მეტი).**

ამასთან, ყველა გამოსაცდელმა აუცილებლად უნდა გადალახოს ტესტის თითოეული ნაწილის (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) მაქსიმალური ქულის (25) შემდეგი პროცენტული მაჩვენებელი:

- **A1 და B1 დონეებისთვის** – მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულის 35%-ზე მეტი (9 ქულა და მეტი), კითხვის ნაწილში მაქსიმალური ქულის 40%-ზე მეტი (11 ქულა და მეტი), წერის ნაწილში მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტი (7 ქულა და მეტი), ლაპარაკის ნაწილში 25%-ზე მეტი (7 ქულა და მეტი);
- **A2 და B2 დონეებისთვის** – მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულის 55%-ზე მეტი (14 ქულა და მეტი), კითხვის ნაწილში 60%-ზე მეტი (16 ქულა და მეტი), წერის ნაწილში 45%-ზე მეტი (12 ქულა და მეტი), ლაპარაკის ნაწილში 45%-ზე მეტი (12 ქულა და მეტი).

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტმა რომელიმე ნაწილში (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) ზღვარი ვერ დაძლია, მას გამოცდა ჩაბარებულად არ ჩაეთვლება.

ტესტირება ორ ნაწილად ჩატარდება: პირველი (მოსმენა, კითხვა) გრძელდება 1 საათი, მეორე (ლაპარაკი, წერა) – ასევე 1 საათი. ტესტირების პირველ და მეორე ნაწილებს შორის გათვალისწინებულია მცირე შესვენება.